სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 14

2019 წ. "18" 04

ქ.თბილისი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2019 წლის 4 პრილს სააპელაციო საბჭოს წარედგინა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის N 399419) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 28 ნოემბრის N173 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს ცენტრის 2019 წლის 15 აპრილის N430153 წერილით დაუდგინდა ხარვეზი. 2019 წლის 18 აპრილს დაწესებულებამ წარმოადგინა წერილები (ცენტრში რეგისტრაციის N444230; N444371) ხარვეზის გამოსწორების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 28^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2019 წლის 4 აპრილის N399419 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6.

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი